

ყაზან-შაჰ და მისი ცოლი

იყო ყაზან-შაჰ ერთი დიდი დიდებული და ხათუნად ჰყვა ქალი ერთი შვენიერი. ეყოლა ვაჟიშვილი და, რა მოიზარდა, მამა-დედანი ათამაშებდნენ.

ცოლს მარტვილი სთხოვა და, რა მიაძლია, ხათუნს ფათერაკი მოუხდა და ქარი დასძვრა.

იწყინა დიდად ყაზან-შამ და ცოლიც გააგდო და შვილიც თან გაატანა მარტო უკაცოდ. და მან სხვა ხათუნი დაისვა.

წავიდა ხათუნი, სამკაული დამალა, ძონძი შეიმოსა და ერთს მეწისქვილეს შეეწყო.

ერთი მისი ტოლი ყრმა მას მეწისქვილეს ჰყვანდა და ორნივე ერთად იზრდებოდნენ და თამაშობდნენ. მეწისქვილის ძე მცირეს წისქვილს აშენებდის, ღარსა და ბორბალს აკეთებდის, ვითა მამა-პაპათა წესია.

ხათუნის ძე ტახტს კრევდის, ზედ დაჯდის და ეტყოდის: მე დამიჩოქე და შემომჩვილეო!

ყრმობითგანვე ესრე იყვნენ. რა ათჩვიდმეტისა წლისა შეიქმნა, მას წისქვილთან კაი ადვილი ხევნარი იყო, ყაზან-შას სპასალარი თემის ასაწერად იარებოდა, მუნ მოვიდა და დადგა. ნახა ყრმა იგი და მოეწონა. იკითხა: ვისიაო. და მოახსენეს: ერთი საბრალო დიაცის შვილიაო.

სპასალარმან დიაციცა და მისი ძეც, ორნივე თან წაიტანა. მან ყრმამან ასრე შეაყვარა თავი, მის ძეს იგი ერჩია და დიდს პატივს უყოფდა.

დღესა ერთსა ჰკითხა შვილმან დედასა: ვინა ვარ, ან ვისი ძეო?

დედამ უთხრა: შაჰის ძე ხარო და ასე მომიხდაო. მისთვის მეც გამომამო და შენცაო.

შვილმან უთხრა: თუ სხვა არა შეგიცოდებია რა, მაგისი ადვილი არისო.

დედამ შეჰფიცა: არაო.

გამოულო დედას სამკაული, ოქროზე გაყიდა. დასხა ოქრომჭედლები და სულ ოქროს ხორბალი დააქნევინა. წავიდა ბაზარში. ყასაბსა, მეწვრილმანესა და მეპურესა სუყველას ხორბალი დაუწინდა.

სამს დღეს უკან ფასს მოგიტანთო, სასმელ-საჭმელი იყიდა და სპასალარს გაუმასპინძლდა.

რა დრო გარდავიდა, ხორბალი აღარ დაიხსნა. მოვიდნენ ვაჭარნი და ხორბალი მოუტანეს. ფასი სთხოვეს.

მან შორს დაუჭირა: მე ფასი ვინ მომცა? ჩვენს თემს მაგას

ვსთესავთ, მოვიმკით და მაგას გავყიდით: მე სხვა არა მაქვს რაო.

წავიდნენ ვაჭარნი და ყაზან-შას შესჩივლეს. უხმეს მას ყრმასა. ჰკითხეს. მან იგივე თქვა.

ყაზან-შამ ყოველი ხორბალი მოაღებინა, წინ დაიგროვა, ჰკითხა მას ყრმასა: აქაც მოვა ამისთანა ხორბალიო?

მან მოახსენა: ყოველგან მოვაო. მაშინვე ბაღი დააბარვინა და უნდა, რომ დათესონ.

მოახსენა: აგრე არ უნდა. ასეთი კაცი იშოეთ, რომ ქარი არა სძროდეს, თვარა არ მოვაო.

შეიქმნა მოკითხულობა: ვის არა სძრომია ქარიო?

ვერავინ პოვეს. მოახსენა: თქვენ ხომ არ იკადრებდითო?

მან უბრძანა: მე წელანაცა დამემართაო.

მერმე მოახსენა: რა სირცხვილია, შინ მოიკითხეთ და ხათუნმან თავი დაიმდაბლოს და დათესოს.

შევიდა ყაზან-შაჰ. ვერც მუნ პოვა. მოვიდა, უთხრა: რა ვქმნა, არ იშოებაო!

მერმე ყრმამან უთხრა: მაშ, დანაშაული რა იყო, ან დედა რად გამიგდე და ან მე, თუ სხვა კი არ იპოვებოდაო?

რა შეიგნა მისი შვილობა, ყელს მოეხვია და დედა მისი აგრევე ხათუნად დაისვა და შვილი შვილად.

- აწ მეც, თუ მაგის მეტი შეცოდება არა მაქვს, რომ კარგსიტყვა ვარ და პასუხს მოგცემ, მაგაზე რად მომისევ მაგ კაცთა და გამალახვინებ? მითხარ: უთქმელი და უსიტყვო კაცი ვინ არის?

თქვა ვაზირმან არაკი: